საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

გაერთიანებული სხდომის

2017 წლის 30 ივნისის

დადგენილება №36

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) გაერთიანებული სხდომის 2016 წლის 18 მარტის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესში“ ცვლილების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) გაერთიანებული სხდომა ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) გაერთიანებული სხდომის 2016 წლის 18 მარტის №29 დადგენილებით დამტკიცებულ „სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესში“ (შემდგომში წესი) და ჩამოყალიბდეს დანართში წამოდგენილი რედაქციით (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

აკადემიკოსი ა. ფრანგიშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი ჯ. გახოკიძე

სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტისათვის (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის პირობები

1. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი შესაძლებელია გაეწიოს უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს იმ შემთხვევაში თუ იგი მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე;

ბ) არის ობოლი (არ ჰყავს დედ-მამა);

გ) არის მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრი;

გ) არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

დ) არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის შვილი;

ე) ჰყავს ერთი და მეტი შვილი (გარდა დოქტორანტისა);

ვ) ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ან რომლის სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; ასევე, სტუდენტი, რომელიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

ზ) ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

თ) იმყოფება სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან ან მინდობით აღზრდაში) ან გასულია სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი შესაძლებელია გაეწიოს უნივერსიტეტის სტუდენტს იმ შემთხვევაში თუ მას აქვს მძიმე ან ქრონიკული დაავადება და პერმანენტულად საჭიროებს მკურნალობას ან თუ სტუდენტს წარმოექმნა მძიმე ფინანსური სიძნელე და მოცემულ ეტაპზე ვერ ახერხებს სწავლის საფასურის გადახდას. ამ საფუძვლით სტუდენტისათვის ფინანსური შეღავათის გაწევის საკითხის განხილვა ხდება ინდივიდუალურად, ყველა გარემოების შესწავლის, მათ შორის სტუდენტთან გასაუბრების საფუძველზე.

3. გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი შესაძლებელია გაეწიოს უნივერსიტეტის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტს, თუ გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში სტუდენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის შუამდგომლობა/რეკომენდაცია.

4. სტუდენტმა სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის თაობაზე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს და წარადგინოს ამ მუხლის 1-3 პუნქტებში მითითებული პირობების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუხლი 3. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესი

1. რექტორის გადაწყვეტილებით განცხადება გადაეცემა წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს), აკადემიურ საბჭოს ან შესაბამისი ფაკულტეტის (სკოლის) საბჭოს.

2. სტუდენტის მიმართ სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობით საბჭო (სენატი), აკადემიური საბჭო ან შესაბამისი ფაკულტეტის (სკოლის) საბჭო, სტუდენტის განცხადებისა და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და აკადემიური საბჭოს სხდომაზე საკითხს ამზადებს და გატანას უზრუნველყოფს შესაბამისად, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) ან აკადემიური საბჭოს მდივანი.

4. ფაკულტეტის (სკოლის) საბჭოსთვის გადაცემულ განცხადებებსა და დოკუმენტაციას იხილავს ფაკულტეტის (სკოლის) დეკანი და ამ წესით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფაკულტეტის (სკოლის) საბჭოს წარუდგენს წინადადებებს კონკრეტული სტუდენტის მიმართ სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის შესახებ.

5. სტუდენტის მიმართ სწავლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის), აკადემიური საბჭოს ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება.

მუხლი 4. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის ფორმა და ოდენობა

1. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი), აკადემიური საბჭო ან ფაკულტეტის (სკოლის) საბჭო იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) სწავლის საფასურის გადახდის გადავადება;

ბ) სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდა;

გ) სწავლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება.

2. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ მიმდინარე სასწავლო წლის საფასურზე.

3. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევა შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის (სკოლის) წლიური საბიუჯეტო ასიგნებების 1%-ის ფარგლებში.